

დასაქმების ფორუმი „TAV Georgia“-ის კომპანიაში

ამაა წლის 24 თებერვალს თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების ოპერატორი კომპანია TAV Georgia მართავს დასაქმების ფორუმს – ღია კარის დღეს – „დასაქმდი აეროპორტში“.

დასაქმების ფორუმი გაიმართება თბილისის საერთაშორისო აეროპორტის გამგზავრების დარბაზში, 10:00–18:00 საათამდე.

დაინტერესებულ პირებს საშუალება ექნებათ ამომწურავი ინფრომაცია მიიღონ თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებში არსებული ვაკანსიების შესახებ და დეტალურად გაეცნონ თავიანთ ფუნქცია–მოვალეობებს ამა თუ იმ პოზიციაზე დასაქმების შემთხვევაში.

TAV Georgia ერთ–ერთი უმსხვილესი დამსაქმებელია საქართველოში, რომელსაც თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებში 1 500–მდე თანამშრომელი ჰყავს დასაქმებული.

ჩვენთვის პრიორიტეტულია, მაქსიმალურად დავუდგეთ გვერდით სახელმწიფოს და ხელი შევეწყოთ, რათა რაც შეიძლება, მეტმა ახალგაზრდამ ისარგებლოს აეროპორტში დასაქმების შესაძლებლობით.